

შპს „რენომედ ლოჯისტიკს“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021	31/12/2020
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	64721	1246904	536264
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5943838	13580960	13204371
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1944044	10112	174
ძირითადი საშუალებები	6552	3087	3891
სულ აქტივები	7959155	14841063	13744700
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	0	749522	1944029
საგადასახადო ვალდებულებები	0	7861	1691
სხვა ვალდებულებები	359	0	0
სულ ვალდებულებები	359	757383	1945720
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში - 'გაუნაწილებელი მოგება' / (დაგროვილი ზარალი))	3032	3032	3032
სულ საკუთარი კაპიტალი	7955764	14080648	11795948
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7959155	14841063	13744700
სულ მოკლევადიანი აქტივები	7952603	14837976	15729070
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	359	757383	4750469

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 29 სექტემბერს



ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „რენომედ ლოჯისტიკა“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები	0	11239136
გაყიდვების თვითღირებულება	0	-8589258
საერთო მოგება	0	2649878
დასაქმებულთა ანაზღაურება	-216162	-238308
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-1073	-805
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-53946	-363975
სულ საოპერაციო ხარჯები	-271181	-603088
საოპერაციო მოგება	-271181	2046790
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-3233703	237910
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციები	-3504884	2284700
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-3504884	2284700
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-3504884	2284700
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	14083680	11798980
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2620000	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	7958796	14083680

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 29 სექტემბერს



ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი

შპს „რენომედ ლოჯისტიკს“

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს

დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებულ	1725992	715804
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებ	0	0
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) ¹	-2620000	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-894008	715804
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-288175	-5164
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1246904	536264
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	64721	1246904

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 29 სექტემბერს



ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

„რენომედ ლოჯისტიკს“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა წლის 06 სექტემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 405289147.

კომპანია რეგისტრირებულია როგორც სპეციალური სავაჭრო კომპანია და მის საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით. იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, გაბრიელ ისაკაძის ქ., N 12, ბ. 57.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელია, კვიპროსში რეგისტრირებული საწარმო - რენოვაიზ ინვესტმენტ ლიმიტიდ (ს.ნ. - HE385978).

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

„აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესადარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.“

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესაბამისად.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

დაბეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საეჭვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციასთან/მომსახურების გაწევასთან.

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის სახელით, დამტკიცებულია გამოსაშვებად 2023 წლის 29 სექტემბერს.

ირინე გამცემლიძე

მთავარი ბუღალტერი

